თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N2

2021 წლის 18 მარტი

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: **დავით ღაღანიძე**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიორგი ჩაბრაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, არჩილ თვალიაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ლევან ღარიბაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე,** შ.ს.ს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი **დიმიტრი ხიზანიშვილი,** შ.პ.ს. ბუნებრივი აირის ხელმძღვანელი **გიორგი ქართლელიშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თელავის ჭავჭავაძის ქუჩის დასავლეთ ნაწილის, ქართული უნივერსიტეტის ქუჩიდან ახმეტა - თელავი - ბაკურციხის რესპუბლიკური მნიშვნელობის გზამდე არსებული მონაკვეთზე ორმხრივი მოძრაობის დაწესების შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: 1. ქ. თელავის ჭავჭავაძის ქუჩის დასავლეთ ნაწილის, ქართული უნივერსიტეტის ქუჩიდან ახმეტა - თელავი - ბაკურციხის რესპუბლიკური მნიშვნელობის გზამდე არსებული მონაკვეთზე ორმხრივი მოძრაობის დაწესების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **დავით ღაღანიძემ** კომისიის წევრებს წარუდგინა, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული, ქართული უნივერსიტეტის ქუჩის მცხოვრებთა ერთობლივი განცხადება, ჭავჭავაძის ქუჩის დასავლეთ ნაწილში ტრანსპორტის მოძრაობის რეგულაციის შეცვლის მოთხოვნით, კერძოდ: აღნიშნულ მონაკვეთზე ორმხრივი მოძრაობის დაწესების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ საკრებულოს შესაბამისი კომისიის, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის და საპატრულო პოლიციის წარმომადგენლების მიერ, ერთობლივად, ადგილზე გასვლით შესწავლილი იქნა აღნიშნული საკითხი და შემუშავებული იქნა სიტუაციური ნახაზი, რომელიც წარმოდგენილია განსახილველად და შემდგომი რეაგირებისათვის.

კომისიის სხდომაზე საპატრულო პოლიციის წარმომადგენელმა დ. ხიზანიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზიდან და საკითხის ადგილზე შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, მას მიცნია, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე, ორმახრივი მოძრაობის დაწესება მიზანშეწონილი და უსაფრთხოა.

ბესიკ ქოჩიშვილმა აღნიშნა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჭავჭავაძის ქუჩის ამ მონაკვეთზე ორმხრივი მოძრაობის დაწესების შემდეგ, საჭირო გახდება სიჩქარის მაქსიმალური შეზღუდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საავარიო შემთხვევები. მიზანშეწონილი იქნება, თუ დამონტაჟდება ციმციმა, რომელიც ხელს შეუწყობს უსაფრთხო მოძრაობას. ასევე **ირაკლი სულხანიშვილმა** აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ დამონტაჟდება სათვალთვალო კამერა.

ბ. ქოჩიშვილის და ი. სულხანიშვილის მოსაზრებებთან **დაკავშირებით დიმიტრი ხიზანიშვილმა** განმარტა, რომ ციმციმა, იმ შემთხვევაში მონტაჟდება, როდესაც არის მკვეთრი მოსახვევი. აღნიშნულ მონაკვეთზე სექციური კამერების დაყენებაც არ არის მიზანშეწონილი შესაძლებელია დამონტაჟდეს ჩვეულებრივი სამეთვალყურეო კამერა. განმარტებების მოსმენისა და საკითხის

სრულყოფილად შესწავლის შემდეგ, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს მითითებულ მონაკვეთზე ორმხრივი მოძრაობის დაწესება.

გადაწყვიტეს: 1. მომზადდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის დასკვნა - ქ. თელავის ჭავჭავაძის ქუჩის დასავლეთ ნაწილის, ქართული უნივერსიტეტის ქუჩიდან ახმეტა - თელავი - ბაკურციხის რესპუბლიკური მნიშვნელობის გზამდე არსებული მონაკვეთზე ორმხრივი მოძრაობის დაწესების მიზანშეწონილობის შესახებ.

2. კომისიის დასკვნა წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას, საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე _____ დავით ღაღანიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისია

2200, ქ.თელავი, ერეკლე II გამზ. 16 ტელ: 599606760; ელ. ფოსტა: davitgaganidze@gmail.com

დ ა ს კ ვ ნ ა

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიას გადმოეგზავნა ქალაქ თელავის „ზუზუმბოს უბნის" (ქართული უნივერსიტეტის, დავით რექტორის და კვირიკე დიდის ქუჩების) მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, სადაც მოთხოვნილი იყო ქალაქ თელავში, ილია ჭავჭავაძის გამზირის გარკვეულ მონაკვეთზე ორმხრივი მოძრაობის დაწესება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2021 წლის 17 თებერვალს მიემართა მუნიციპალიტეტის მერიას, რათა შეესწავლათ და საკრებულოსათვის წარმოეგდინათ ზემო აღნიშნულ განცხადებაში მითითებული მონაკვეთის სიტუაციური ნახაზი, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებით სიტუაციურ ნახაზზე საგზაო ნიშნების დატანა.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტოიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის 2021 წლის 18 მარტის სხდომაზე განხილული იქნა მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი პროექტი თანდართული სიტუაციური ნახაზით.

კომისიამ საკითხის სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თელავში, ილია ჭავჭავაძის გამზირის დასავლეთი ნაწილის, 180 გრძ.მ. მონაკვეთზე ორმხრივი მოძრაობის დაწესება.

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე

დავით ღაღანიძე